ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია– კოლეგიის წევრი

იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. ყ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.04.2010

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 022/10

ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის – ე. წ.-ს მიმართ, სიითი N

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. წ.-ს ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება. საადვოკატო მომსახურების მიზნით ადვოკატისათვის გადაცემული თანხის დაბრუნება.

საპროცესო კოლეგიამ გასაუბრებაზე გამოცხადებულ მხარეებს განუმარტა დამატებითი მტკიცებულებების, შუამდგომლობებისა და სხვა მასალების წარმოდგენის შესაძლებლობების თაობაზე, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების შესაბამისად.

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1 2010 წლის 29 აპრილს საქართველოს მოქალაქე ნ. ყ.-მ მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ე. წ.-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, ასევე საადვოკატო მომსახურების მიზნით გადაცემული თანხის – 500 ლარის სრულად დაბრუნება.

1.2 განმცხადებელი საჩივარში აღნიშნავს, რომ 2009 წლის მარტში მიმართა პროკურატურას განცხადებით თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით და ესაჭიროებოდა ადვოკატი სამართალდამცავ ორგანოში მისი ინტერესების დასაცავად.

1.3 საჩივრის მიხედვით, განმცხადებელმა 2009 წლის 22 მაისს მიმართა საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს ,,სასწორს", კერძოდ ადვოკატ ე. წ.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით.

1.4 განმცხადებელსა და ადვოკატ ე. წ.-ს შორის 2009 წლის 22 მაისს გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო სამსახურის გაწევის თაობაზე.

1.5 ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი ვალდებული იყო დაეცვა განმცხადებლის ინტერესები საქმის წინასწარი გამოძიების დროს, ასევე გაეწია იურიდიული მომსახურება და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კეთილსინდისიერად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები.

1.6 თავის მხრივ, განმცხადებელი კისრულობდა ვალდებულებას ადვოკატისათვის გადაეხადა საადვოკატო მომსახურების საფასური, 500 ლარის ოდენობით.

1.7 განმცხადებელმა სრულად გადაუხადა ადვოკატს საადვოკატო მომსახურების საფასური.

1.8 განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და არ გაუწია სათანადო მომსახურება. კერძოდ: მისი თხოვნის მიუხედავად არ დანიშნა ქიმიური ექსპერტიზა, რაც აუცილებელი იყო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისთვის.

1.9 საჩივრის მიხედვით, ადვოკატი ორი თვის განმავლობაში არ ეხმიანებოდა განმცხადებელს, არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს და არანაირი ინფორმაცია არ მიუწოდებია საქმესთან დაკავშირებით.

1.10 განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა არ დაუბრუნა სრულად საქმის მასალები და განუცხადა, რომ არ თვლიდა საჭიროდ მის მიერ გაკეთებული საქმის მასალების განმცხადებლისათვის გადაცემას.

1.11 დისციპლინური კოლეგიის გასაუბრება განმცხადებელთან შედგა 2010 წლის 11 მაისს, რის დროსაც განემარტა, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება ადვოკატისთვის გადახდილი თანხის დაბრუნების საკითხი. შესაბამისად, დაზუსტდა საჩივრის მოთხოვნა. განმცხადებელმა მოითხოვა ადვოკატისათვის ,,ადვოკატთა

დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

2. ადვოკატ ე. წ.-ს განმარტების მიხედვით:

2.1 ადვოკატ ე. წ. გასაუბრება შედგა 2010 წლის 16 სექტემბერს რა დროსაც მან წარმოადგინა ახსნა-განმარტება და წერილობით უპასუხა დისციპლინური კოლეგიის წევრების კითხვებს.

2.2 ადვოკატის განმარტების მიხედვით, 2009 წლის 22 მაისს ნ. ყ.-მ მიმართა და სთხოვა ყოფილიყო მისი ადვოკატი სამართალდამცავ ორგანოებში საქმის წარმოებისას.

2.3 ე. წ.-ს განმარტებით, მხარეებს შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლითაც მის მიერ გაწეული მომსახურების საფასური განისაზღვრა 500 ლარის ოდენობით.

2.4 ადვოკატის განმარტების მიხედვით, საჩივრის ავტორმა განუცხადა, რომ იგი გახდა გაურკვევლობის მსხვერპლი, კერძოდ: სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებზე მისი სახელით შესრულებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნოდა და გაყალბებული იყო.

2.5 ადვოკატი აღნიშნავს, რომ როდესაც იგი საქმეში ჩაერთო ნ. ყ.-ს შეტანილი ჰქონდა განცხადება საქართველოს მთავარ პროკურატურაში. აღნიშნული განცხადება გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს შსს სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს პირველ განყოფილებას.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ იგი სრულიად იცავდა დაზარალებულის ინტერესებს და უწევდა სამართლებრივ კონსულტაციას. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით განახორციელა შემდეგი საპროცესო მოქმედებები: მისი შუამდგომლობის საფუძველზე და მისი თანდასწრებით დაიკითხა ნ. ყ.-ს მიერ დასახელებული მოქალაქე, რომელიც იმყოფებოდა სანოტარო ბიუროში სადავო ხელშეკრულების გაფორმების მომენტში. ასევე მისი მოთხოვნით ჩატარდა ალტერნატიული კალიგრაფიული ექსპერტიზა სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში", რომელმაც შსს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის იდენტური პასუხი გასცა.

2.7 ადვოკატი საჩივრის ავტორის პრეტენზიას ქიმიური ექსპერტიზის ჩაუტარებლობასთან დაკავშირებით მიუღებლად მიიჩნევს და განმარტავს, რომ მას, როგორც ადვოკატს ნ. ყ.-ის არ აუკრძალავს ქიმიური ექსპერტიზის ჩატარება. მან აუხსნა რომ აღნიშნული

ექსპერტიზის ჩატარება დამატებით ღირდა 80 ლარი, რის გადახდაზეც ნ. ყ. უარი განაცხადა.

2.8 ადვოკატის განმარტების მიხედვით, 2010 წლის მარტის შუა რიცხვების შემდეგ, ოჯახური პრობლემების გამო იმყოფებოდა ქალაქგარეთ, კერძოდ მარტვლის რაიონში და შესაძლებელია იმის გამო, რომ კონკრეტულ სოფლებს ბილაინის ქსელი არ ფარავს, საჩივრის ავტორმა ვერ მოახერხა მასთან დაკავშირება.

2.9 ადვოკატი აღნიშნავს, რომ განმცხადებლისათვის არ უცნობებია, რომ გადიოდა ქალაქიდან, რადგან ამ პერიოდის მანძილზე არ ჰქონდა არანაირი საპროცესო მოქმედებები განსახორციელებელი და მისი ქალაქში არყოფნით წინასწარ გამოძიებაში მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებს ზიანი არ ადგებოდა.

2.10 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მის ხელთ არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალები სრულად გადასცა ნ. ყ.-ს. შესაბამისად, განმცხადებლის პრეტენზია საქმის მასალების დაბრუნების თაობაზე, გაუგებარია.

2.11 ადვოკატი განმარტებაში აღნიშნავს, რომ ვინაიდან არც კლიენტს და არც პირადად მას არ მიუმართავთ ერთმანეთისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით, ხელშეკრულება შეწყვეტილი არ არის. თუმცა ნ. ყ.-ს მიერ ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ საჩივრის შემოტანა შეიძლება განხილული იქნას, როგორც მის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა.

2.12 ადვოკატი განმარტავს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულებით განსაზღვრული საადვოკატო მომსახურების გაწევის საფასური კლიენტს უკან არ უბრუნდება.

სამოტივაციო ნაწილი

3. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

3.1 საქმეში წარმოდგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.1.1 ადვოკატი ე. წ.ა 2006 წლის 21 დეკემბრიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი #/. მისი წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.1.2 საჩივრის ავტორმა საჩივარი ეთიკის კომისიაში შემოიტანა 2010 წლის 29 აპრილს.

3.1.3 სადავო ქმედება ჩადენილია 2009 წლის ივნისში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი.

3.1.4 განმცხადებელსა და ადვოკატს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 22 მაისს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. განმცხადებლის 2010 წლის 29 აპრილის საჩივარი. (1-ლი გვ; 1-ლი აბზაცი)
2. განმცხადებლის 2010 წლის 11 მაისის ახსნა-განმარტება. (1-ლი გვ; 1-ლი აბზაცი);
3. ადვოკატ ე. წ.-ს 2010 წლის 16 სექტემბრის ახსნა-განმარტება. (1-ლი გვ; 1 აბზაცი)

3.1.5 ადვოკატმა ე. წ. განმცხადებლისგან მიიღო საადვოკატო მომსახურების გაწევის საფასური 500 ლარის ოდენობით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
1. განმცხადებლის 2010 წლის 29 აპრილის საჩივარი. (1-ლი გვ; მე-2 აბზაცი)
2. განმცხადებლის 2010 წლის 11 მაისის ახსნა-განმარტება. (მე-2 გვ; 1-ლი აბზაცი);
3. ადვოკატ ე. წ.-ს 2010 წლის 16 სექტემბრის ახსნა-განმარტება. (1-ლი გვ; 1 აბზაცი)

3.1.6 განმცხადებელი 2 თვის განმავლობაში ვერ უკავშირდებოდა ადვოკატს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
1. განმცხადებლის 2010 წლის 11 მაისის ახსნა-განმარტება. (1-ლი გვ; მე-2 აბზაცი);
2. ადვოკატ ე. წ.-ს 2010 წლის 16 სექტემბრის ახსნა-განმარტება. (1-ლი გვ; 1 აბზაცი);

3.2 კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

3.2.1 ადვოკატმა განმცხადებლის თხოვნის მიუხედავად არ დანიშნა ქიმიური ექსპერტიზა. წარმოდგენილია შემდეგი მტკიცებულებები:
1. განმცხადებლის 2010 წლის 11 მაისის ახსნა-განმარტება. (მე-1 გვ; მე-5 აბზაცი);
2. ადვოკატ ე. წ.-ს 2010 წლის 16 სექტემბრის ახსნა-განმარტება. (მე-2 გვ; მე-2 აბზაცი);

განმცხადებლის ახსნა-განმარტების მიხედვით, ადვოკატმა მისი თხოვნის მიუხედავად არ დანიშნა ქიმიური ექსპერტიზა, რაც აუცილებელი იყო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის;

ადვოკატის ახსნა-განმარტების მიხედვით, მან განმცხადებელს აუხსნა, რომ აღნიშნული ექსპერტიზის ჩატარება დამატებით ღირდა 80 ლარი, რის გადახდაზეც ნ. ყ.-მ უარი განაცხადა. შესაბამისად, ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

3.2.2 ადვოკატმა არ დაუბრუნა საქმის მასალები განმცხადებელს.

წარმოდგენილია შემდეგი მტკიცებულებები:

1. განმცხადებლის 2010 წლის 11 მაისის ახსნა-განმარტება. (მე-1 გვ; მე-4 აბზაცი);
2. ადვოკატ ე. წ.-ს 2010 წლის 16 სექტემბრის ახსნა-განმარტება. (მე-2 გვ; მე-3 აბზაცი);

განმცხადებლის ახსნა-განმარტების მიხედვით, ადვოკატმა არ დაუბრუნა სრულად საქმის მასალები და განუცხადა, რომ არ თვლიდა საჭიროდ მის მიერ გაკეთებული საქმის მასალების განმცხადებლისათვის გადაცემას.

ადვოკატის ახსნა-განმარტების მიხედვით, მის ხელთ არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალები სრულად გადასცა ნ. ყ.-ს.

3. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. წ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

4. სამართლებრივი შეფასება

4.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლით ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამავე კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობისას.

4.2 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია: ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები. ბ) ზუსტად განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. ე) შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1 ნაწილის მიხედვით, ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

4.3 ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-7 მუხლის მე-3 ნაწილით საპროცესო კოლეგიამ არ უნდა აღძრას

დისციპლინური დევნა თუ: (პუნქტი -,,ა”) საჩივარი ან შეტყობინება ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

4.4 მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის პრეტენზიები მდგომარეობს შემდეგში: ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, ქიმიური ექსპერტიზის ჩაუტარებლობა, ორი თვის განმავლობაში კლიენტთან კავშირის არქონა და საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობა, ასევე საქმის მასალების მიუწოდებლობა.

4.5 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორისა და ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები დაუსაბუთებელია.

4.6 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა. საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას ადვოკატის უმოქმედობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კლიენტის დასაცავად გამოიყენა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. კერძოდ: ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე და მისი თანდასწრებით დაიკითხა მოწმე და ჩაატარა ალტერნატიული კალიგრაფიული ექსპერტიზა.

4.7 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა კლიენტის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატმა მისი თხოვნის მიუხედავად არ ჩაატარა ქიმიური ექსპერტიზა და მიიჩნევს, რომ ადვოკატი არ იყო ვალდებული საკუთარი ხარჯებით განეხორციელებინა იგი მაშინ, როდესაც კლიენტმა უარი განაცხადა ექსპერტიზის ჩასატარებლად განსაზღვრული თანხის გადახდაზე. საპროცესო კოლეგიის მიერ მოცემული გარემოება არ განიხილება ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების დარღვევად.

4.8 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები.

4.9 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ საქმე იყო გამოძიების პროცესში და საქმესთან დაკავშირებით ახალი გარემოებები არ არსებობდა. ადვოკატს ამოწურული ჰქონდა კანონმდებლობით მინიჭებული საპროცესო ღონისძიებები და ელოდა გამოძიების შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია

მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ ორი თვის განმავლობაში ინფორმაციის მიუწოდებლობას არ შეიძლებოდა დაეზარალებინა კლიენტის ინტერესები, რადგან საქმესთან დაკავშირებით ახალი გარემოებები არ არსებობდა.

4.10 საპროცესო კოლეგიას ადვოკატმა დაუდასტურა, რომ საქმის მასალები მასთან არ ინახება და აღნიშნული მასალები სრულად გადასცა საჩივრის ავტორს. ასევე საჩივრის ავტორს არ დაუსახელებია კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც ადვოკატთან ინახება.

4.11 შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტის დარღვევის ნიშნები. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიას მიიჩნია, რომ ადვოკატ ე. წ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე- მუხლით, 33-ე მუხლით და ამავე კანონის მე-5 მუხლით, ასევე ადვოკატთა პროფესული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-7 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილის ა) პუნქტების საფუძველზე.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ნ. ყ.-ს 29.04.2010 წლის, საჩივარი #022/10 არ დაკმაყოფილდეს. საჩივრის ავტორს უარი ეთქვას ადვოკატ ე. წ.-ს მიმართ /სიითი #/ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.
2. 29.04.2010 წლის, საჩივარი #022/10 დაუბრუნდეს საჩივრის ავტორს, ნ. ყ.-ს.
3. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
4. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე - ემზარ პაქსაძე

კოლეგიის წევრი – ირაკლი კორძახია

კოლეგიის წევრი – იური ვაზაგაშვილი